სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება Nელ.ტ.10.05.17
(გამარტივებული ელექტრონული ტენდერი **SPA170005909**)

ქ. თბილისი **10.05.2017 წელი**

შპს "სახელმწიფო სამშენებლო კომპანია", შემდგომში – შემსყიდველი, წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი შენგელიას სახით და **შპს „FINA''**, შემდგომში – მიმწოდებელი, მეორეს მხრივ, წარმოდგენილი მისი დირექტორის დავიტ თოფჩიშვილის სახით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „რ" ქვეპუნქტისა და შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (SPA170005909) საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და, ასევე, მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება" - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

1.1. საბუღალტრო და სასაწყობე პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვის, სწავლების და ექპლუატაციაში გაშვების მომსახურების შესყიდვა **(CPV 72200000)**.

1.2. ტექნიკური დავალება მოცემულია №2 დანართში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 14065 (თოთხმეტი ათას სამოცდახუთი) ლარს დღგ-ს ჩათვლით, დანართი N1-ის შესაბამისად.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. **მიმწოდებელი** ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს **60 (სამოცი) კალენდარული დღის ვადაში** წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა, ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი N2-ის შესაბამისად.

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.3. მიმწოდებელი წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში მომსახურების გაწევის მიზნით მიღებულ პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. მომსახურების ხარისხი

5.1. გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დანართი N2-ით განსაზღვრულ პირობებს.

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია სრულად აანაზღაუროს სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე შემსყიდველისათვის მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანი.

6. მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურების მიღება წარმოებს მომსახურების სრულად დასრულების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება მომსახურების სრულად განხორციელების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.3 თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

მხარეები პასუხს აგებენ წინამდებარე ხელშეკრულების ან მისი ცალკეული პირობების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებულ ზიანზე.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

10. დავების გადაწყვეტა

10.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

10.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან **5 (ხუთი)** დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულების მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.

13. ფორსმაჟორი

13.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, საზოგადეობრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).
13.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყონებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

14. სხვა პირობები

14.1 წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი N1 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან მთლიანობაში.
14.2 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო მეორე შემსყიდველს.

15. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

"შემსყიდველი"

შპს "სახელმწიფო სამშენებლო კომპანია"

მის: ქ. თბილისი, ორხევის დასახლება,
ახვლედიანის №21
ს/კ: 205140257
ბანკი: ს.ს. "თიბისი ბანკი"
კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE17TB1100000360200175

მიმწოდებელი

"მიმწოდებელი"

შპს „FINA"

მის: ქ. თბილისი, მ. კოსტავას II შესახვევი, №2
ს/კ: 404407968
ბანკი: სს "პროკრედიტ ბანკი"
კოდი: MIBGGE22
ა/ა: GE85PC0233600100011935

გიორგი შენგელია _____ დავით თოფჩიშვილი _____

დ ა ნ ა რ თ ი N1

(2017 წლის 10 მაისის N ელ.ტ.10.05.17 ხელშეკრულებაზე)

(გამარტივებული ელექტრონული ტენდერი **SPA170005909**)

ქ. თბილისი **10 მაისი 2017 წელი**

N	დასახელება	რაოდენობა/განზომილება	ერთეულის ღირებულება (ლარი დღგ-ს ჩათვლით)	საერთო ღირებულება (ლარი დღგ-ს ჩათვლით)
1	საბუღალტრო პროგრამული უზრუნველყოფა	5 მომხმარებელი	1045	5225
2	სასაწყობე პროგრამული უზრუნველყოფა	9 მომხმარებელი	760	6840
3	სწავლება	14 მომხმარებელი	2000	2000
4	დანერგვა, ექსპლუატაციაში გაშვება,სწავლება			
				ჯამი: 14065

შემსყიდველი

"შემსყიდველი"

შპს "სახელმწიფო სამშენებლო კომპანია"

მის: ქ. თბილისი, ორხევის დასახლება, ახვლედიანის №21
ს/კ: 205140257
ბანკი: ს.ს. "თიბისი ბანკი"
კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE17TB1100000360200175

მიმწოდებელი

"მიმწოდებელი"

შპს „FINA"

მის: ქ. თბილისი, მ. კოსტავას II შესახვევი, №2
ს/კ: 404407968
ბანკი: სს "პროკრედიტ ბანკი"
კოდი: MIBGGE22
ა/ა: GE85PC0233600100011935

გიორგი შენგელია _____ დავით თოფჩიშვილი _____

დ ა ნ ა რ თ ი N 2
(2017 წლის 10 მაისის Nელ.ტ.10.05.17 ხელშეკრულებაზე)
(გამარტივებული ელექტრონული ტენდერი **SPA170005909**)

ქ. თბილისი **10 მაისი 2017 წელი**

ტექნიკური დავალება

- პროგრამული უზრუნველყოფის დახმარებით უნდა განხორციელდეს სასაწყობე მეურნეობის და ბუღალტერიის მართვა. საწყობის აღრიცხვა უნდა ხორციელდებოდეს დაშორებულ ობიექტებზე ვებ ბრაუზერის დახმარებით, პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაციის გარეშე, ტერმინალური დაკავშირების გარეშე, ოპერაციულ სისტემაზე დამოუკიდებელი მოწყობილობით (ნოუთბუკი, ანდროიდის პლანშეტი, თუ სხვა). სასაწყობე ოპერაციების შესრულება ავტომატურად უნდა აისახებოდეს ბუღალტრულ გატარებებში. ბურალტრული და სასაწყობე პროგრამები უნდა მუშაობდნენ ერთსა და იმავე მონაცემთა ბაზასთან;
- სისტემის დაზიანების შემთხვევაში, მონაცემების დაკარგვის თავიდან ასაცილებლად, შესაძლებელი უნდა იყოს მონაცემთა სარეზერვო ასლების პერიოდული შექმნა;
- პროგრამა უნდა შეიცავდეს სასაწყობე და საწვავის ოპერაციების ფუნქციონალს რეპორტინგის ჩათვლით;
- პროგრამის მეშვეობით შესაძლებელი უნდა იყოს:
  - ახალი მომხმარებლების დამატება;
  - ახალი მომწოდებლების დამატება;
  - სისტემის ცალკეული მომხმარებლების და მათი როლების განსაზღვრა;
  - საქონლის ტიპების და განზომილებების შექმნა და შექმნილი საქონლის მონაცემების ცვლილება;
  - საქონლის კოდების გენერაცია;
  - საქონლის მრავალდონიანი ჯგუფების შექმნა (ჯგუფების ქვეჯგუფები);
  - ჯგუფების თანმიმდევრობის მართვა;
  - თითოეულ საწყობში საქონლის ჯგუფების და მასალების ინდივიდუალურად განთავსება;
  - მასალების მარტივად გადატანა შესაბამის ჯგუფებში;
  - ნაშთების რეპორტი;
  - საწყობის აღწერის რეპორტი;
  - საქონლის ჩამოწერა (საქონლის ჩამოწერა პასუხისმგებელ პირზე);
  - საქონლის გადატანა საწყობებს შორის;
  - საწვავის აღწერის რეპორტი;
  - საწვავის ნაშთების რეპორტი;
  - საწვავის ჩამოწერა (პასუხისმგებელ პირზე)როგორც მანქანა საათზე ასევე ოდომეტრზე და ტექნიკის ერთეულზე საწვავის დანახარჯების აღრიცხვა, აღნიშნული ოპერაცია უნდა განხორციელდეს ვებ ინტერფეისის მოდულის მეშვეობით;
  - საწვავის ჩამოწერის საბუთის მომზადება (თვის განმავლობაში გაცემულ საწვავზე ჯამურად);
  - საბანკო ამონაწერის პროგრამაში ჩატვირთვა;
  - კადრების შვებულებებისა და მივლინებების აღრიცხვა, საინფორმაციო ბარათების შექმნა;
  - თანამშრომლების ნამუშევარი საათების აღრიცხვა ობიექტებზე ვებ ინტერფეისის მოდულის დახმარებით;

- საქონელს უნდა გააჩნდეს შემდეგი მახასიათებლები: შტრიხკოდი, კოდი, განზომილების ერთეული, დასახელება, რაოდენობა, თვითღირებულება, გასაყიდი ფასი, სურათი, დახასიათება;
- საწყობის მენეჯერის მიერ საქონლის გაცემის შემთხვევაში პროგრამამ უნდა უზრუნველყოს გაცემის დამდასტურებელი საბუთის მომზადება;
- პროგრამის ვებ ინტერფეისით შესაძლებელი უნდა იყოს სასაქონლო ზედნადებების ჩამოტვირთვა და ატვირთვა RS.GE -ზე;
- საქონლის მიღება უნდა ხორციელდებოდეს მარტივად RS.GE-დან სასაქონლო ზედნადებების ჩამოტვირთვით. პროგრამაში შესაძლებელი უნდა იყოს ანგარიშ-ფაქტურის და ზედნადების მარტივად ატვირთვა, გაუქმება და დასრულება. შესაძლებელი უნდა იყოს კომპანიის მიერ რეალიზებულ საქონელზე გამოწერილი ზედანდების ჩამოტვირთვა;
- პროგრამას უნდა ჰქონდეს საქონლის საწყობში მიღებისა და დადასტურების ფუნქცია;
- პროგრამას უნდა შეეძლოს სასაქონლო სიის თვითღირებულებების ავტომატური გამოთვლა;
- პროგრამის მეშვეობით შესაძლებელი უნდა იყოს მომწოდებლისთვის საქონლის დაბრუნების პროგრამაში ასახვა;
- პროგრამას უნდა შეეძლოს რამოდენიმე საწყობის ან ობიექტის შემთხვევაში, საქონლის გადატანა და ასევე ნაშთების კონტროლი თითოელი საწყობისთვის;
- პროგრამას უნდა შეეძლოს რამოდენიმე საწყობის ან ობიექტის შემთხვევაში, საწვავის გადატანა და ასევე ნაშთების კონტროლი თითოელი ობიექტისთვის;
- პროგრამის პრივილეგირებულ ერთ ერთ მომხმარებელს უნდა შეეძლოს სხვა მომხმარებლების დამატება და გარკვეული უფლებების მინიჭება დონეების მიხედვით.ყველა მომხმარებლისთვის შესაძლებელი უნდა იყოს პრივილეგიების და წვდომის განსაზღვრა ოპერაციებზე, ანგარიშგებებზე, საწყობზე სასაქონლო ჯგუფებსა და კონტრაგენტებზე;
- პროგრამა უნდა ახორციელებდეს თვითღირებულებების , დღგ-ს და ნაშთების ავტომატურ გამოთვლას. პროგრამა სრულ თავსებადობაში უნდა იყოს Excel-თან, ანუ უნდა გააჩნდეს იმპორტისა და ექსპორტის მარტივი და სრულყოფილი ფუნქციონალი;
- პროგრამას უნდა გააჩნდეს წარმოების მოდული, ასევე მზა პროდუქციის აწყობის, ნაწილის დამატების და დაშლის ფუნქციონალი;
- პროგრამას უნდა ჰქონდეს წვდომა კომპანიის საქმიანობის ძირითად ბუღალტრულ მაჩვენებელთან Android და iOS სისტემის მოწყობილობებიდან;
- პროგრამის მეშვეობით შესაძლებელი უნდა იყოს მყიდველთან ანგარიშგება, მყიდველების ბაზის შექმნა და კომპანიის მიმართ მათი ფულადი ვალდებულებების კონტროლი;
- პროგრამა უნდა მოიცავდეს სრულ ბუღალტრულ უზრუნველყოფას (სალარო და საბანკო, საწყობი, ძირითადი საშუალებები, ხელფასები, და სხვა); სისტემაში უნდა შეიძლებოდეს:
  - ანგარიშთა გეგმის განსაზღვრა მომხარებლის მიერ;
  - ფინანსური პერიოდის დახურვის შემდეგ, სისტემაში არ უნდა შეიძლებოდეს არანაირი ბიზნეს ოპერაციის განხორციელება დახურულ პერიოდში;
  - შესაბამისი უფლების მომხმარებელს უნდა შეეძლოს დახურულ პერიოდში ცვლილების შეტანა ნებისმიერ დროს მონაცემების კორექტირების მიზნით, თუმცა აღნიშნული ცვლილების შესახებ სისტემა უნდა ინახავდეს ინფორმაციას;
  - ოპერაციების განხორციელება ეროვნული ვალუტისაგან განსხვავებულ ვალუტაში;
  - ვალუტის კურსების ჩამოტვირთვა საქართველოს ეროვნული ბანკის საიტიდან;
  - გადაფასებების გაკეთება. გადაფასების განხორციელების შედეგად, სისტემა ავტომატურად უნდა აგენერირებდეს შესაბამის ბუღალტრულ გატარებებს; ასევე უნდა ასახავდეს გადაფასების შედეგად გამოვლენილ შემოსავალს თუ ზარალს;
  - კრედიტორული დავალიანების დაფიქსირება;
  - ნებისმიერი ტიპის რეალიზაციის დაფიქსირება და დებიტორული დავალიანების წარმოქმნა;
  - ოპერაციების აღრიცხვა პროექტების და ქვე პროექტების მიხედვით
  - რეალიზაციის დაფიქსირებისას სისტემა ავტომატურად უნდა ითვლიდეს შესაბამის

საგადასახადო ვალდებულებებს (დღგ, საშ.გადასახადი და ა.შ) ბიზნეს ოპერაციის შინაარსიდან გამომდინარე;

- ორგანიზაციის ფულადი სახსრების მართვა;
- ფულადი სახსრების გადატანა ერთი საბანკო ანაგიშიდან მეორზე, ან ერთი სალაროდან მეორე სალაროში;
- მომხმარებლის მიერ ფულადი ოპერაციების კლასიფიკაციის განსაზღვრა;
- ფულადი ტრანზაქციები უნდა აგენერირებდეს შესაბამის ბუღალტრულ გატარებებს;
- სისტემა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ფულადი სახსრების ანალიზისთვის საჭირო სტანდარტული რეპორტინგით;
- საბანკო ამონაწერის პროგრამაში ჩატვირთვა;
- ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვაზე აყვანა;
- აქტივის გადაადგილების განხორციელებისას ავტომატურად უნდა ფორმირდებოდეს შესაბამისი ბუღალტრული გატარებები, რომელთა წესი უნდა განისაზღვრებოდეს მომხარებლის მიერ;
- აქტივზე უნდა შეიძლებოდეს განისაზღვროს:
  - -აქტივის ჯგუფი
  - -აღრიცხვაზე აყვანის ღირებულება
  - -არაცვეთადი ღირებულება
  - -ამორტიზაციის საგადასახადო ჯგუფი
  - -ფინანსური ამორტიზციის მეთოდები და პარამეტრები
  - -სტრუქტურული ერთეული, რომელსაც განეკუთნვება აქტივი
  - -ფიზიკური ადგილმდებარეობა
  - -პასუხისმგებელი პირი
- თითოეული აქტივისათვის შესაძლებელი უნდა იყოს განისაზღვროს სხვადასხვა ცვეთის მეთოდები;
- ცვეთის მეთოდის პარამეტრები უნდა განისაზღვრებოდეს მომხარებლის მიერ;
- აქტივის გადაფასება;
- საგადასახადო რეპორტინგის ფორმირება;
- სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს დამატებითი ღირებულების გადასახადის კალკულაციას თითოეული ბიზნეს-ოპერაციის საფუძველზე, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას დღგ-თი;
- კონკრეტული პერიოდისთვის ბუღალტრული ანგარიშების საწყისი ნაშთების, პერიოდის განმავლობაში არსებული ცვლილებებისა და საბოლოო ნაშთების ნახვა;
- სისტემა უზრუნველყოფილი უნდა იყოს სტანდარტული ფინანსური და სხვა ტიპის რეპორტინგით:
  - -საცდელი ბალანსი
  - -ბალანსი
  - -მოგება-ზარალი
  - -ფულადი სახსრები
  - - ხარჯების ანალიზი პროექტების და ქვე პროექტების მიხედვით

- პროგრამა უნდა უზრუნველყოფდეს ძირითადი საუალებების აღიცხვას, კერძოდ:
  - სისტემაში შესაძლებელი უნდა იყოს ორგანიზაციის საკუთრებაში მყოფი ნებისმიერი ძირითადი საშუალების რეგისტრაცია და მათი ელექტრონული ბაზის შექმნა;
  - სისტემა თითოეულ ძირითად საშუალებას უნდა ანიჭებდეს უნიკალურ ნომერს, რომლის შაბლონის განსაზღვრა უნდა შეეძლოს მომხმარებელს;
  - სისტემაში შესაძლებელი უნდა იყოს შესყიდვის დოკუმენტის საფუძველზე მიღებული საქონელი დაკონვერტირდეს აქტივებად;
  - სისტემაში შესაძლებელი უნდა იყოს ძირითადი საშუალებების კატეგორიების შექმნა და კონკრეტული ძირითადი საშუალებების მიკუთვნება ამ კატეგორიებზე;
  - სისტემა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ექპლუატაციაში ჩაშვებული ძირითადი საშუალებების ანალიზისთვის საჭირო სტანდარტული რეპორტინგით;
  - სისტემაში შესაძლებელი უნდა იყოს ორგანიზაციის ძირითადი საშუალებების გადაადგილების ფაქტის დაფიქსირება, გადაადგილების დროს შესაძლებელი უნდა

იყოს როგორც ფიზიკური ადგილმდებარეობის, სტრუქტურული ერთეულის და პასუხისმგებელი პირის ცვლილება;

- ➢ ძირითადი საშუალებების გადაადგილების განხორციელებისას ავტომატურად უნდა ფორმირდებოდეს შესაბამისი ბუღალტრული გატარებები;
- ➢ სისტემაში შესაძლებელი უნდა იყოს ძირითადი საშუალებების სარემონტო სამუშაობის დაფიქსირება;
- ➢ უნდა შეიძლებოდეს როგორ კაპიტალური, ასევე მიმდინარე სარემონტო სამუშაოების აღრიცხვა;
- ➢ უნდა შეიძლებოდეს თითეული სარემონტო სამუშაოსათვის განისაზღვროს სარემონტო სამუშაოსათვის გაწეული მატერიალური დანახარჯები;
- ➢ ძირითად საშუალებებზე მასალების და ნაწილების გახარჯვის აღრიცხვა და შესაბამისი დანახარჯების ანალიზი;
- ➢ მასალების და ნაწილების თითოეული ტექნიკის მიხედვით გახარჯვის აღრიცხვა;
- ➢ სარემონტო სამუშაოს ჩატარებისას, სისტემა ავტომატურად უნდა აგენერირებდეს შესაბამის ბუღალტრულ გატარებას;

- პროგრამას უნდა შეეძლოს საკანცელარიო, კომუნალური, სახელფასო და კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ეკონომიურ-ფინანსური ხარჯების სრული აღრიცხვა და კონტროლი.
- პროგრამა უნდა იყოს მზა პროდუქტი, სადაც უნდა მოხდეს კომპანიის მონაცემების საწყის ნაშთებად გადმოტანა არსებული პროგრამიდან (ძველი ბაზის გადატანა ახალ პროგრამაში);
- მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა, ექსპლუატაციაში გაშვება და პერსონალის სწავლება.
- მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სატელეფონო მხარდაჭერა (სამუშაო საათებში) პროგრამის ექსპლუატაციაში გაშვებიდან 12 (თორმეტი) კალენდარული თვის განმავლობაში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პრობლების აღმოფხვრა შეუძლებელია სატელეფონო კავშირის საშუალებით, უნდა უზრუნველყოს მისი წარმომადგენლის გამოგზავნა შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილზე არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
"შემსყიდველი"	*"მიმწოდებელი"*
შპს "სახელმწიფო სამშენებლო კომპანია"	**შპს „FINA"**
მის: ქ. თბილისი, ორხევის დასახლება, ახვლედიანის №21 ს/კ: 205140257 ბანკი: ს.ს. "თიბისი ბანკი" კოდი: TBCBGE22 ა/ა: GE17TB1100000360200175	მის: ქ. თბილისი, მ. კოსტავას II შესახვევი, №2 ს/კ: 404407968 ბანკი: სს "პროკრედიტ ბანკი" კოდი: MIBGGE22 ა/ა: GE85PC0233600100011935

გიორგი შენგელია _____ დავით თოფჩიშვილი _____